

"როგორც კი დაბრუნდა პოლიტიკაში ბატონი ბიძინა ივანიშვიდი, იმავე დღეს მოგვარდა პრობლემები"



„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნი ირაკლი კობახიძე აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე პარტიის შიგნით არსებული გაუგებრობა მოგვარდა.

„ბატონმა ბიძინამ განმარტა სამი მიზეზი პოლიტიკაში მისი დაბრუნების, სამივე მიზეზი არის ძალიან მნიშვნელოვანი და იმაზე ხაზგასმა იყო ძალიან მნიშვნელოვანი. რაც შეეხება კონკრეტულად მესამე მიზეზს, რომელიც დაკავშირებული იყო გაუგებრობასთან, დაპირისპირებასთან პარტიის შიგნით – მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არ იყო იმ მნიშვნელობის დაპირისპირება, მხოლოდ რომის გამოც იყო აუცილებელი ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაბრუნდა პოლიტიკაში.

თუმცა ეს გახდა რა თქმა უნდა ერთ-ერთი მიზეზი და თქვენ დაინახეთ, რომ როგორც კი დაბრუნდა პოლიტიკაში ბატონი ბიძინა ივანიშვიდი, იმავე დღეს მოგვარდა პრობლემები რომელიც დაკავშირებული იყო პარტიის შიგნით გარკვეულ დაპირისპირებასთან. ეს გვაჩვენებს იმას თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბატონი ბიძინა ივანიშვილის წონა, რამდენად მნიშვნელოვანია მისი ნდობა, ამ მასშტაბის ნდობა და წონა ჩვენს პარტიაში არ აქვს არავის გარდა ბიძინა ივანიშვილისა, რომელიც გახდა პარტიის თავჯდომარე.“-

განაცხადა ირაკლი კობახიძემ.